ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-75. 7525223001**
თარიღი:**11/08/2025**

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2025 წლის 04 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით, ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სააგიტაციო მასალის განთავსება/გაკვრისათვის საჭირო სპეციალური ადგილების გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნების დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2025 წლის 05 აგვისტოს N05/08/01 განკარგულების საფუძველზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

მუხლი 1.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/ თვითმმართველი თემის მერის 2025 წლის 04 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით, ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საარჩევნო სუბიექტების სააგიტაციო მასალის განთავსება/გაკვრა ნებადართული იქნას ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე საერთო სარგებლობის წისქვილის შენობებზე, საერთო სარგებლობის წყაროებზე, ჭებზე, მოსაცდელებზე, გარე განათების ბოძებსა და სამშენებლო ტერიტორიების შემოსაზღვრულ დროებით ღობეებზე და დანართი N1-ში მითითებულ შენობა-ნაგებობებზე.

მუხლი 2.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/ თვითმმართველი თემის მერის 2025 წლის 04 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით, ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საარჩევნო სუბიექტების სააგიტაციო მასალის განთავსება/გაკვრა აკრძალული იქნას დანართი N2-ში მითითებულ შენობა-ნაგებობებზე.

მუხლი 3.

საარჩევნო სუბიექტებმა ამ განკარგულებით გათვალისწინებულ ადგილებში სააგიტაციო მასალის განთავსება/გაკვრა მოახდინონ იმ ფორმით, რომ დაცული იქნას წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილე თითოეული სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის განთავსება/გაკვრისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობებით.

მუხლი 4.

საარჩევნო სუბიექტებმა არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან 15 (თხუთმეტი) დღის

ვადაში მოახდინონ განკარგულებით გამოყოფილ ადგილებში მათ მიერ გამოკრული სააგიტაციო მასალისაგან განთავისუფლება.

მუხლი 5.

ამ განკარგულების მე-4 მუხლის დარღვევის შემთხვევაში საარჩევნო სუბიექტს დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6.

კონტროლი განკარგულების შერულებაზე დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს (თ. ძაგნიძე).

მუხლი 7.

განკარგულება შესაძლებელია გასაჩივრდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა N11) განკარგულების მიღებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

მუხლი 8.

განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

იოსებ რობაქიძე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი